„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპოგრამის "სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების“ ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის დებულება

მუხლი 1. დებულების მიზანი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის "სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილების ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - ,,უნივერსიტეტი'') მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის დებულების (შემდგომ - ,,დებულება'') მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის “სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილების ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - ,,უნივერსიტეტი'') მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის ერთიანი პირობების დადგენა და შესაბამის შერჩეულ პირთა გამოვლენა მათი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დასაფინანსებლად წარსადგენად.

მუხლი 2. შესარჩევი კრიტერიუმები

1. წინამდებარე დებულების პირველ მუხლში დასახელებული მიზნისთვის შეირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი სემესტრის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე მაგისტრანტი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

   ა) ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

   ბ) არის უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;

   გ) 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სასწავლო კურსში აქვს არანაკლებ 91-100 ქულა (A შეფასება - ფრიადი);

მუხლი 3. კანდიდატთა შერჩევა

1. უნივერსიტეტი დასაფინანსებლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისი წარმატებული მაგისტრანტების სიას.

მუხლი 4. ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები

1. აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული პროცედურების ადმინისტრირებას ახორციელებენ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტები ურთიერთშეთანხმებით.